

კვლევები: ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები

**უკრაინულ-ქართული ლიტერატურული
ურთიერთობების უცნობი მასალები:
ბორის ტენის გზა ჩახრუხადის თამარიანამდე**

ლუდმილა ჰრიციკი

პროფესორი

ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

რეზიუმე: სტატიაში განხილულია უცნობი საარქივო მასალები, რომელიც აღწერს ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლის, ჩახრუხადის „თამარიანის“ უკრაინულად თარგმნის ისტორიასა და ქართული ლიტერატურის უკრაინულ ენაზე ნაკლებადცნობილი მთარგმნელის, ბორის ტენის, პროფესიულ ბიოგრაფიას.

საკვანძო სიტყვები: უკრაინა; ბორის ტენი; ჩახრუხადე; თამარიანი; ძველი ქართული ლიტერატურა

ბორის ტენის, ასევე ცნობილი, როგორც მიკოლა ხომიჩევსკი, სახელი კარგადაა ცნობილი როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე ევროპული და ანტიკური ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის. მხატვრული თარგმანის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის ცნობილი სპეციალისტი, მაქსიმ სტრიხა, ბორის ტენის მიერ შესრულებულ „ილიადასა“ და „ოდისეას“ თარგმანებზე დაკვირვებისას შენიშნავს: „თუკი ვინმე ხელს მოკიდებს ჰომეროსის პოემების ხელახლა თარგმნას, წინასწარ უნდა განსაზღვროს, რომ ბორის ტენმა თავისი თარგმანებით შეძლო, სრულყოფილად შეესრულებინა კლასიკური უკ-

რაინული პროსოდია, ღირსეულად დაასრულა საქმე, რომელიც ოდესღაც დაიწყო რუდანსკიმ, ნავროცკიმ და ნიშინსკიმ“ [6, გვ. 279].

არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა ამ დიდი ხელოვანის ოსტატობით. ბორის ტენისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ერთიანდება ს. ბილოკონის, გ. ბუხალას, გ. ზლენკის, ი. დრაჩის, მ. კლიმენკოს, ლ. კოლომიეცის, მ. რილსკის, დ. პავლიჩკოს ფუნდამენტური შრომები და მოგონებები („სურვილები და მღელვარე ჩანაფიქრები“, 1988, „სწრაფმაგალი ქარიშხლიანი წლები“ 1998). 1982 წლის ნოემბერში ო. ოპანასიუკის ბორის ტენთან ჩაწერილ უკანასკნელ ინტერვიუში ვკითხულობთ: „ჰომეროსი თავისი ხასიათითა და შემოქმედებითი სულით ჩემ მიერ თარგმნილ პოეტებს, პროზაიკოსებსა და დრამატურგებს შორის ჩემთვის ყველაზე ახლოა“ [7, გვ. 119]. ბორის ტენის მდიდარი მემკვიდრეობა მოიცავს ანტიკური ლიტერატურის ისეთი ავტორების თარგმანებს, როგორებიც არიან: არისტოფანე, ესქილე, სოფოკლე, ვერგილიუსი და სხვები. მისი ანტიკური ლიტერატურის მთარგმნელობითი შემოქმედება არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ყურადღების საგანი. ბორის ტენის მრავალმხრივი ინტერესი ასევე გამდიდრდა სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურით, მაგ: ლატვიური ლიტერატურა (გ. კარლინი) და მოლდავური ლიტერატურა (ი. დრუცე). მისი ინტერესის სფეროში ასევე შედიოდა სს რესპუბლიკებში შემაგალი სხვა დანარჩენ ხალხთა მწერლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს საოპერო ტექსტების თარგმნა წარმოადგენდა.

ბორის ტენის მიერ უკრაინულად თარგმნილი ქართული ნაწარმოებები არასდროს განხილულა მკვლევართა მიერ უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა თუ მხატვრული თარგმანის კონტექსტში. გამონაკლისი იყო ქართველი ხალხის პოეზია. ანთოლოგია ორ ტომად [13], რომელშიც შესულია ქართული პოეზიის თარგმანები უკრაინულ ენაზე. კრებული სათანადო წარმოდგენას უქმნის მკითხველს ძველი ქართული ლიტერატურის, კერძოდ, მოსე ხონელის, იოანე შავთელის, ჩახრუხადისა და ქართული ლიტერატურის მწვერვალის, შოთა რუსთაველის, შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ წინამორბედის, ჩახრუხადის სახელი არაერთხელ გაჟღერებულია ი. ლუცენკოს, ალ. ბარამიდის, ი. ცინცადისა და ალ. მუშკუდიანის უკრაინულენოვან ნაშრომებში, თუმცა, ტენის ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ცნობილი და გასაგები მიზეზის გამო, ბორის ტენი არასოდეს დასახელებულა და აღნიშნულა ამ ტექსტების მთარგმნელად ზემოდასახელებულ ნაშრომებში.

ძველი და ახალი ქართული პოეზიის პოეზიის უკრაინულენოვანი თარგმანები რაულ ჩილაჩავას საკვლევი საკითხების ფუნდამენტური ნაწილი იყო. მისი

მეცნიერული ინტერესების ცენტრში მოექცა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის, მიკოლა ბაჟანის, შემოქმედებითი პრაქტიკა. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩახრუხაძე და მისი მთარგმნელი ბორის ტენი არასოდეს ყოფილა მეცნიერის საგანგებო კვლევის საგანი. ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების თარგმანის საკითხში, ორ სტიქიათა ენობრივ-კულტურული მორგების პროცესში, რომელშიც მთარგმნელი გამოკვეთს როგორც მათ მსგავსებებს, ასევე – განსხვავებებს [15], მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბორის ტენის მიერ შესრულებული „თამარიანის“ რეცეფციის საკითხმაც.

ნაშრომში გაანალიზებულია უკრაინელი მთარგმნელის გზა „თამარიანამდე“, ნაწარმოების სათარგმნელად შერჩევის მიზეზი და მოტივაცია, ისევე როგორც მიკოლა ზეროვის, მაქსიმ რილსკის, მიკოლა ბაჟანის როლი ბორის ტენის შემოქმედებით ცხოვრებაში. სტატიაში გამოყენებულია ავტორის ბიოგრაფიული კვლევის ელემენტები, შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური მეთოდები, პოეტური თარგმანის პროცესის ანალიზის ცალკეული მეთოდოლოგიური მიდგომები.

ბორის ტენის შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალების, განსაკუთრებით, საარქივო მასალების შესწავლა, იმაზე მიუთითებს, რომ მთარგმნელის სახელი უნდა ჩაეიწეროს XX საუკუნის უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიაში, კერძოდ, ქართული ენიდან უკრაინულად თარგმანის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური დაკვირვებების ღირებულებით.

ამ მასალების დამუშავებისაკენ ერთმა შემთხვევამ მიიბიძგა. ჟიტომირის ეროვნული ლიტერატურულ-მხატვრული არქივის ბიბლიოთეკიდან გამოგზავნეს ბორის ტენის მიერ ქართული ენიდან შესრულებული თარგმანის ოცდაათ-გვერდიანი უსათაურო ხელნაწერი. თარგმნილი ტექსტის პირველსავე სტრიქონებიდან შესაძლებელი გახდა გენიალური შოთა რუსთაველის თანამედროვე ჩახრუხაძის ხმის „მოსმენა“ [9]. ფანქრით გულდასმით გადაწერილი ტექსტი, როგორც ჩანს, ჩემ წინ ავტორის მიერ საბოლოოდ რედაქტირებული ვერსია იყო. ამას მოწმობდა ცალკეული შესწორებები, დაზუსტებები, კომენტარები. ეს ნაწარმოები, როგორც ცნობილია, შევიდა მ. ბაჟანის, ო. ნოვიცკისა და ს. ჩიქოვანის რედაქტორობითა და ალ. ბარამიძისა და გ. მარგველაშვილის წინასიტყვაობით მომზადებულ „ქართველი ხალხის პოეზიის“ პირველ წიგნში. ანთოლოგიის არაოფიციალური კოორდინატორი, რასაკვირველია, ქართული ენიდან თარგმნის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მ. ბაჟანი იყო. ანთოლოგიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში [5, გვ. 422-472]. აქ შევიდა ნაწარმოებები, რომლებიც მანამდე არასდროს თარგმნი-

ლა და უკრაინელი მკითხველისთვის სრულიად უცნობი იყო. მათ შორის იყო ჩახრუხაძე – „ჩახრუხა“ – როგორც ალექსანდრე ხახანაშვილი უწოდებდა „თამარიანის“ ავტორს [14].

თარგმანი შესრულებულია ბორის ტენის მიერ, რომლის სახელი იშვიათად ჩანს უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში, მაშინ, როდესაც ხშირად ახსენებენ სხვა მთარგმნელებსა და მკვლევრებს. მაგალითად, ხსენებული ანთოლოგიის შედგენისას პავლო ტიჩინას, ლეონიდ პერვომასკის, ვასილ მისიკს, მაქსიმ რილსკის, ოლექსა ნოვიცკის, დმიტრო კოსარიკსა და სხვებს. მაქსიმ სტრიხა იმდროინდელ ბორის ტენს უწოდებს „უპირველეს ფიგურას, რომელიც პროფესიულად და კეთილსინდისიერად მოღვაწეობდა თავის სფეროში“ [6, გვ. 276]. მისი პროფესიული ინტერესების სფერო იყო ანტიკური და ევროპული ლიტერატურა. იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც ინახება ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივში (მასალები თავად ბორის ტენის მიერაა გადაცემული), იძებნება პ. მირიანაშვილის ლიბრეტოს მის მიერ შესრულებული თარგმანი ზ. ფალიაშვილის ოპერისთვის „აბესალომ და ეთერი“ (მანქანაზე ნაბეჭდი 80 გვერდი, 60-იანი წლები) [15]. მ. სტრიხა ვარაუდობს, რომ თავად მაქსიმ რილსკი, რომელიც ჯერ კიდევ 1946 წელს ცდილობდა, კონტრაქტი გაეფორმებინა ბორის ტენისთვის, მისთვის ეთარგმნინებინა პომეროსის „ილიადა“ და „სახლიტგამში“ გამოეცათ, ამასობაში, ბორის ტენმა უარი თქვა შემოთავაზებაზე და „აბესალომ და ეთერზე“ მუშაობას შეუდგა.. მსგავსი მუშაობის გამოცდილება მას უკვე ჰქონდა. ერთი მხრივ, მუსიკალური განათლება, მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანი მ. ბაჟანის გაკვეთილები ზ. ფალიაშვილის „დაისზე“ მუშაობისას [6, გვ. 348]. და ბოლოს, შეიძლება ხელშემწყობი ყოფილიყო ასევე ემიგრანტი პოეტის, ო. ვარავის (ო. კობცის) მთარგმნელობითი გამოცდილება ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოზე, რომლის დადგმაც 1938-1939 წლებში ვერ განხორციელდა [6, გვ. 349]. არქივში ინახება ასევე ილია ჭავჭავაძის მკვლევლობიდან 40 წლისთავის აღსანიშნავად ბორის ტენის პუბლიკაცია და გრიგოლ ორბელიანის ლექსის „ჩემს დას ეფემიას“ თარგმანი.

თარგმანზე მუშაობისას ბორის ტენი რჩევის მისაღებად მიკოლა ბაჟანს მიმართავდა: „ვთარგმნე და, რასაკვირველია, გამოვიყენე პწკარედი. მე ცამეტი სტროფი გამომივიდა მაშინ, როცა, ზაბოლოცკის რუსულ თარგმანში მხოლოდ ცხრა სტროფია. რატომ არ ემთხვევა ტექსტის დაყოფა? ვინ დაუშვა აქ თავისუფლება, მე თუ ზაბოლოცკიმ?“ [15, 167]. თუმცა, ამ და სხვა წერილებში, უფრო მეტად ყურადღება ეთმობა „ილიადისა“ და „ოდისეას“ თარგმანის პრობლე-

მას. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ტენის შემოქმედებით ცხოვრებაში იყო ეტაპი (პატიმრობა, ნაშრომების გამოქვეყნების აკრძალვა, დევნა), როდესაც იგი იძულებული იყო ფსევდონიმებს ამოფარებოდა (ვ. ტომაშვიცკი, ტ. ვერნიგოლი და სხვ.) [8, გვ. 184]. აღნიშნულ პერიოდში სხვა ქართველი ავტორებისადმი მისი ინტერესი არ შეიმჩნევა. ამ შემთხვევაში იკვეთება სხვა საკითხი, რომელზე პასუხის მისაღებად არაა საკმარისი მხოლოდ ბორის ტენის ჩახრუხადის „თამარიანამდე“ მისვლის გზის მიმოხილვა, არამედ მისი შემოქმედებითი ცხოვრების ცალკეული მომენტების გაანალიზებაა საჭირო. ყურადღებაა მისაქცევი შემდეგ საკითხზე – მ. ბაჟანმა, ო. ნოვიცკიმ და ს. ჩიქოვანმა, რომლებიც ამზადებდნენ ანთოლოგიას, რატომ დაუშვეს შუა საუკუნეების ასეთი ცნობილი ქართული ძეგლი ეთარგმნა ბორის ტენს, რომელსაც მანამდე ქართულიდან არაფერი ჰქონდა ნათარგმნი?! შეინიშნება თუ არა „თამარიანის“ თარგმანის კავშირი სხვა თხზულებებთან, რაზეც უმუშავია მთარგმნელს? მას უკვე სამოციან წლებში (ანთოლოგიის მომზადების პერიოდი) უწოდებდნენ „შემოქმედს, რომელიც თავის თავში იტევდა მრავალ კულტურულ საყაროს“ (დ. პავლიჩკო), ან იქნებ მიღებული ჰქონდა შეკვეთა ასევე სარედაქციო საბჭოსგან?

როდესაც ანთოლოგიის შედგენის საკითხი დადგა, ძველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის აღიარებულ უკრაინელ მკვლევრად მიკოლა ბაჟანი მოიაზრეს. მას სახელი მოუხვეჭა მეოცე საუკუნის ლიტერატურაზე მრავალწლიანმა მუშაობამ, ასევე „ვეფხისტყაოსნისა“ და დავით გურამიშვილის „დავითიანის“ თარგმნამ. მიკოლა ბაჟანმა უკრაინაში „გადმოიტანა“ ქართული სიტყვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან „ქართული ბაღი გააშენა უკრაინაში“ [12, გვ. 239] და გულმოდგინედ უვლიდა მას. ამას მოწმობს „ვეფხისტყაოსანზე“ მისი მუშაობის პროცესიც. როგორც რ. ჩილაჩავა შენიშნავს, „ბაჟანი გამოწვლილვით უღრმავდებოდა დედანს, ცდილობდა მოეძიებინა მის (ორიგინალის - ი.მ.) არსთან მაქსიმალურად მიახლოების საშუალებები“ [11, გვ. 22]. ცნობილია, რომ ბაჟანს საუკეთესო შედეგის მისაღწევად ხანგრძლივი დროის განმავლობაში არაერთხელ გადაუმუშავებია თავისი თარგმანი. იგი აღნიშნავს ქართველი რუსთველოლოგების – ს. იორდანიშვილის, კ. ჭიჭინაძის, შ. ნუცუბიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის – დახმარებას თარგმნის პროცესში. ასევე, მათ მხარდაჭერას კვალიფიციური პეკარედის შედგენისას, რაც მისთვის ამ შესანიშნავი სამუშაოს პირველ ეტაპს წარმოადგენდა [11, გვ. 16].

ახლა შევეცდები, ეს ყველაფერი გავაანალიზო ბორის ტენის მიერ ჩახრუხადის პოემის თარგმანის პროცესთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ არქივში არ იძებნება ის მასალები (წერილები, ჩანაწერები), რომელთა მიხედვითაც

მიკოლა ბაჟანისა და მთარგმნელის მჭიდრო კავშირი დადასტურდებოდა. რთული სათქმელია, თუ ვინ მოუმზადა მას პწკარედი: ბორის ტენი არ ფლობდა ორიგინალის (ქართული) ენას. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ს. იორდანიშვილი, რომელსაც ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედი. ამ მოსაზრებამდე მივყავართ მ. ბაჟანის არქივში არსებული სხვა ტექსტების – შავთელის „აბდულმესიანისა“ და დავით გურამიშვილის „დავითიანის“ – თარგმანის პწკარედებს [16, 535]. თვალშისაცემია კიდევ ერთი შემთხვევა, რომელზეც ყურადღებას თავად მთარგმნელი ამახვილებდა „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულად თარგმნის პროცესში (1937 წ.).

ვფიქრობ, რომ ანთოლოგიის მომზადების ასეთი საპასუხისმგებლო სამუშაო, რასაც უმაღლეს დონეზე უნდა წარმოეჩინა ქართული პოეზია უძველესი დროიდან ვიდრე მეოცე საუკუნის დასასრულამდე, საუკეთესოდ შესრულებულ პწკარედებს საჭიროებდა. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ მეთორმეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ქმნილებას, არამედ შ. ნუცუბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტს, რომელიც „ეროვნულ-კულტურული თხზულებიდან გარდაიქმნება აღმოსავლური რენესანსის განვითარების საერთაშორისო ძეგლად“ [3, გვ. 239]. „ჩახრუხაძე – მსჯელობს მეცნიერი – აღმოსავლური რენესანსის ლიტერატურებში დგას ნიზამსა და რუსთაველს შორის, ეს არის „გარდამავალი“ მოვლენა ქართულ რენესანსში. ცნობილია, რომ 1939 წელს მ. ბაჟანის რედაქციით შექმნილი ანთოლოგიის („საბჭოთა საქართველოს პოეზია“) მომზადებაში ბორის ტენი არ მონაწილეობდა. სიტუაცია არ იძლეოდა ამის საშუალებას (ცრუ ბრალდებების საფუძველზე იგი გადაასახლეს შორეულ აღმოსავლეთში).

ძველი ბერძნულიდან შესრულებული მხატვრული თარგმანები რჩებოდა დიდი ოსტატის საქმიანობის უმთავრეს სფეროდ. თუმცა, დასახელებული მიზეზების გამო, ბორის ტენმა ბოლომდე ვერ მოახერხა საკუთარი თავის რეალიზება [8]. თუმცა, ევროპული ენების, მუსიკის, თეატრისა და ანტიკური სამყაროს ცოდნა და საკუთარი პოეტური შემოქმედება ავტორისთვის ღირებულებას არ კარგავდა. ანტიკურობისადმი ინტერესი ბორის ტენს გაუღვივეს მიკოლა ზეროვმა, მაქსიმ რილსკიმ და მიკოლა ბაჟანმა. უკვე 20-იან წლებში გამოჩნდა არა მხოლოდ მისი ორიგინალური შემოქმედება, ლექსები, არამედ – თარგმანებიც. ზოგიერთი მათგანი მომზადდა ს. სავჩენკოს ახალი ფრანგული პოეზიის ანთოლოგიისთვის. თუმცა, ნამდვილი დიდება მთარგმნელს მოუტანა ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთესა“ და ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ თარგმანებზე მუშაობამ, რა დროსაც ბორის ტენმა „შეიმუშავა საკუთარი ვერსი-

ფიკაციულ-სტილისტური და ისტორიულ-სამეცნიერო მეთოდი“ [15, 21]. მის არქივში ინახება ხელნაწერი სათაურით „რას ვემადლიერები ზეროვს“. მასალიდან იკვთება, რომ მთარგმნელობით საქმიანობას მან აზიარა, თავად მიკოლა ზეროვს გაუწევია სავჩენკოსთან რეკომენდაცია ფრანგული პოეზიის თარგმანზე. მ. ზეროვისთვის ბორის ტენის პერსონა ალექსანდრ ბილევცისაგან ყოფილა ცნობილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებული გარემოებები განაპირობებდა იმას, რომ ბორის ტენი ფსევდონიმებს ამოფარებული ბეჭდავდა საკუთარ თარგმანებს. იგი იგონებს, რომ ზეროვმა, „როდესაც საქმე ესქილეს ტრაგედიის „მიჯაჭვული პრომეთეს“ თარგმანზე მიდგა, რეკომენდაცია მომცა, რომ ეს საქმე მე შემესრულებინა“ [15, 289]. მთარგმნელი მიკოლა ზეროვის მფარველობას ასევე ახსენებს სოფოკლეს, არისტოფანეს, ჰომეროსის „ოდისეას“ (რომელიც ძლიერ უყვარდა ზეროვს) თარგმანსთან მიმართებით. არაერთხელ აღნიშნავს მის „შეუფასებელ და კეთილსინდისიერ რჩევებს“. ბორის ტენის სახით, როგორც ჩანს, მიკოლა ზეროვმა იპოვა პიროვნება, რომელსაც შეეძლო თავისი ჩანაფიქრების განხორციელება. 1930 წელს მიკოლა ზეროვმა ლიტერატურათა შედარებითი შესწავლის კაბინეტის სახელით (ხელმძღვანელი – ო. ბილევცი) ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორს წარუდგინა „უცხო ქვეყნების იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სია, რომელთა პირველ რიგში თარგმნაც მიაჩნდა სასურველად“. წერილში დაზუსტებულია: „გეგმაში დიდი ხარვეზია: არ არის შეტანილი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და სლავი ხალხის ლიტერატურები, კაბინეტს კი მნიშვნელოვნად მიაჩნია ეს პირველი ორი განყოფილება, განსაკუთრებით კი – პირველი“.¹ მიკოლა ზეროვის მსგავსი ინიციატივები კვალავდნენ იმ გზას, რომელიც გაიარა იმ დროს უკვე შერისხულმა მთარგმნელმა.

თარგმანთან დაკავშირებული კონცეპტუალური მიდგომები ჩანს მის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში. ნაშრომის – „კუნდზიჩი და მხატვრული თარგმანის საკითხი უკრაინაში“ – ხელნაწერ ვარიანტში ბორის ტენი აუღერებს თავის თეორიულ მოსაზრებებს თარგმანის შესახებ, კერძოდ, შერჩევის პრინციპს, თარგმანის ადეკვატურობას, რეალისტური-ანტირეალისტური თარგმანის არსს, აზრობრივ და შეგრძნებების ასოციაციათა გამოხატვას თარგმანში, სახელების გადმოტანას და აღნიშნავს, რომ ანთროპონიმები „შესაბამისად უნდა დაუკავშირდეს იმ ენის შინაგან სახეობათა სისტემას, რომელზეც

¹ ეს მასალები მოძიებულია, ირპინში, პ. კოჩურის ლიტერატურულ მუზეუმში. პირველად გამოაქვეყნა ლადა კოლომიეცმა „ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის მაცნეში“: „უცხოური ფილოლოგია“, გამოცემა 1(53), 2021, გვ. 12-13.

ხდება გადატანა“ [15, 289, 71]. მიკოლა ზეროვისა და მისი წყალობით ო. ბილევცის მხარდაჭერამ შემდეგი შესაძლებლობები გააჩინა: ნელ-ნელა სუსტდებოდა აკრძალვები და ეჭვები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია 1938 წელს ო. ბილევცის მიერ შედგენილი და მომზადებული ქრესტომათია „ანტიკური ლიტერატურა. ძველბერძნული და რომაული ლიტერატურის ნიმუშები“, რომელშიც ესქილეს ბორის ტენისეული თარგმანია შესული.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ბორის ტენის თარგმანებს ყოველთვის უჭერდა მხარს მაქსიმ რილსკი. ბორის ტენი მასთან მიწერილ წერილებში დელიკატურად მიუთითებს თარგმანისთვის მზაობას, თუმცა, მხოლოდ შრომის სურვილი არ იყო საკმარისი, ამ პროცესს თან სდევდა მატერიალური სიძნელებიც. „მომიტანეთ სლოვაკის თარგმანი და დაველაპარაკები კორნიიჩუკს ჰომეროსის შესახებ,“ [15, 289, 72] მსგავსი წერილები, რომლებიც ეხებოდა მიცკევიჩის, ჟულავსკის, ბეხერის თარგმნას, მორალური მხარდაჭერა იყო ბორის ტენისთვის. მაქსიმ რილსკი ენდობოდა ბორის ტენს, იცოდა, რომ მისნაირი სპეციალისტი უკრაინაში ბევრი არ იყო. ყურადსაღებია მაქსიმ რილსკის ი. კობილევცისადმი მიწერილი ერთი წერილი, დათარიღებული 1946 წლის 20 სექტემბრით, ჰომეროსის „ილიადას“ თარგმანის შესახებ: „არის ერთი ადამიანი, პოეტი და მთარგმნელი ბორის ტენი (მიკოლა ხომიჩევსკი), რომელმაც კარგად იცის ბერძნული ენა და სრულყოფილად ფლობს უკრაინულ ლექსს. მისი რამდენიმე თარგმანი შესულია ბილევცის „ქრესტომათიაში“. სულ ახლახანს გამომცემლობა „ხელოვნება“ მიიღო მისი ესქილეს თარგმანი და, ჩემი აზრით, აკადემიკოსი ბილევცი მის ამ კანდიდატურას მიიღებს“ [4, გვ. 255]. ბორის ტენის მთარგმნელობით პრაქტიკაში მაქსიმ რილსკი, რომელიც იმ დროისათვის თავადაც ბევრს თარგმნიდა (*მიცკევიჩის, სლოვაკის, ტუვიმის, ჰაინეს, შექსპირის*), მნიშვნელოვანი პერსონა და მისი მხარდამჭერი აღმოჩნდა.

ვფიქრობ, რომ მის მთარგმნელობით ნიჭს აღნიშნავდა მ. ბაჟანიც: დანტე, უიტმენი, ვერჰარნი, გოფმანი, რომელთაც ხშირად მიმართავდა ხოლმე ბორის ტენი, მისი საყვარელი ავტორები იყვნენ. დამაინტრიგებელია მისი პრაქტიკიდან გამომდინარე ფუნდამენტური მოსაზრებები თარგმანის შესახებ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ავტორიტეტული სპეციალისტების მოსაზრებები მათი „გავლენის სფეროებზე“ [2, გვ. 356]. ქართული ანთოლოგიის შედგენის პროცესში ყველა დეტალს მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ მთარგმნელობითი ოსტატობის დონე, რაც ბერძნულ-რომაული ლიტერატურის თარგმნისას გამოვლინდა და რეალიზდა მხატვრული თარ-

გმანის შესახებ შექმნილ კონცეფციებში, არამედ, ასევე აღსანიშნავია მისი განსწავლულობაც აღმოსავლური რენესანსის საკითხებში.

ცნობილია, რომ ჩახრუხადე იყო რუსთველის „უფროსი თანამედროვე“ (შ. ნუცუბიძე). როგორც საარქივო ჩანაწერებიდან და ნაშრომებიდან ჩანს, ბორის ტენი ცდილობდა „გაეაზრებინა თარგმანის პროცესი თეორიული ბაზის შესაქმნელად“ [15, 289, 71].

ბორის ტენი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ივან ფრანკოს, ს. რუდანსკის, ი. ფრანდოვსკის მოსაზრებებს. იგი არაერთხელ შეეხო უკრაინულად პექსამეტრის გადმოტანის საკითხს, ხშირად უბრუნდებოდა მიკოლა ზეროვის შეხედულებებს.

მიკოლა ბაჟანმა, მუშაობდა რა რუსთაველის, იოანე შავთელის, დავით გურამიშვილის შემოქმედების თარგმანზე (ამას მოწმობს შავთელის პოემის ფრაგმენტების თარგმანის და გურამიშვილის პოემის პწკარედის ხელნაწერები), არჩევანი ბორის ტენზე შეაჩერა. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულია პოეტ ჩახრუხადის „სულის საეკლესიო განწყობები“. შესაძლოა, რომ ეს კიდევ ერთი ფაქტორი იყო ბორის ტენისთვის, უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლისთვის, მიმზიდველი და ორგანული გამხდარიყო ამ ავტორის თარგმნა.

ჩახრუხადის თარგმნისას ბორის ტენისათვის მეტად ღირებული იქნებოდა რუსთველის პოეტიკაც, რომელსაც შეიძლებოდა გასცნობოდა თავის უკრაინულენოვან თარგმანში. მან ხომ არაჩვეულებრივად იცოდა ანტიკური ფილოსოფია და ლიტერატურა.

მიკოლა ბაჟანმა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბორის ტენს ანდო ჩახრუხადის „თამარიანის“ თარგმნა [1]. „თამარიანის“ მკვლევრები, ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ნაწარმოების სხვადასხვა მხატვრულ ხერხზე, მაგალითად, შედარებაზე, რომელიც, ალექსანდრე ხახანაშვილის აზრით, „აღმოსავლურ ჰიპერბოლიზებულ ხასიათს განეკუთვნება“ [10,11, გვ. 311]. ავტორის მიერ შექმნილი ეპიზოდები, მაგალითად, მოგზაურობა აფხაზეთში, მიუთითებს, რომ ჩახრუხადემ იცოდა ნიჟამი განჯელის „ჰამსე“, კერძოდ, მისი რომანტიკული პოემები, რომელშიც გამოჩნდა ლეილისა და შირინის სახეები. ამასთანავე, შთამბეჭდავია ჩახრუხადის ერუდიცია და წარმოდგენა ელინურ მითოლოგიაზე, ბიზანტიური კულტურის ძეგლებზე, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის ნაშრომების ცოდნა, რაც იკვეთება მის ტექსტში და უნდა ასახულიყო თარგმანშიც. ბუნებრივია, იყო სირთულეებიც, ნაწარმოების არქიტექტონიკის თავისებურებებითა და მრავალი სხვა ფაქტორით შეპირობებული. შენიშვნებისა და მთარ-

გმნელის არქივში მოძიებული წერილების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ავტორი ცდილობდა ქართული ტექსტის უკრაინულად გადატანისას მაქსიმალურად დაეცვა დედნის თავისებურებანი. როგორც ჩანს, მუშაობას ყველაზე მეტად ართულებდა ჩახრუხადის ლექსის გადმოტანის წესები. ავტორმა, როგორც აღნიშნავდა ალექსანდრე ხახანაშვილი, „შექმნა განსაკუთრებული საზომი – ჩახრუხაული“ [14, გვ. 305]. თუმცა, ამ აზრს არ იზიარებდა შალვა ნუცუბიძე. იგი აღნიშნავდა, რომ, ალბათ, რომელიღაც უკვე არსებულ საზომს უწოდესო მისი სახელი [3, გვ. 221].

პოემაში გამოკვეთილ ლექსის განსხვავებულ ჟღერადობას შალვა ნუცუბიძე უკავშირებს იმ პერიოდის ლიტერატურის, კერძოდ კი პოეზიის, განვითარების ტენდენციებს: „თამარიანი“ მიეკუთვნება ეპოქას, როდესაც ლექსი „მწიგნობრობიდან გამოდიოდა“ და უახლოვდებოდა ხალხურობას, შესამჩნევად იხვეწებოდა ლექსწყობის ტექნიკა და მრავალფეროვნდებოდა საზომი.

შალვა ნუცუბიძის მიერ შემუშავებული შეხედულება „თამარიანის“ შესახებ, მაჟორული და მინორული „წყობის“ შეფასება, რომელსაც ეყრდნობოდა ჩახრუხადე, მეცნიერს საშუალებას აძლევდა, ემსჯელა „პოეტური ორკესტრების“ თავისებურებებზე, როგორც მთარგმნელს კი მოეძებნა მისი გადმოტანის გზები რუსთველის მაღალი და დაბალი შაირის გათვალისწინებით („ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას შეძენილი გამოცდილების საფუძველზე). „რუსთაველი, ამბობს მეცნიერი, უფრო ახლოსაა ჩახრუხადესთან, ვიდრე – შავთელი, თმოგველი, ხონელი ... როგორც ხალხური შაირით, პოეტური ფორმებით, სახეებით, აფორიზმებით, ასევე ფორმალურ-ტექნიკური მომენტებითაც“ [3, გვ. 202]. მთარგმნელის კიდევ ერთი დაკვირვება ასეთია: „ჩახრუხაული წარმოადგენს არა თორმეტ, არამედ ათმარცვლიან სტრიქონს. გადამწყვეტი არის შინაგანი რითმა, რომელიც მოქცეულია ათმარცვლიან სტრიქონში“, ამრავალფეროვნებს ლექსის ჟღერადობას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ფრაგმენტი ჩახრუხადის თორმეტმარცვლიანი ქებიდან:

*Дивна Тамаро,
Сонячна хмаро,
Неба престоле,
Й людям світило!*

ბორის ტენის თარგმანი

ბორის ტენისთვის, მისი მთარგმნელობითი შეხედულებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, არ ჩაენაცვლებინა ერთი ლექსი მეორით, საკუთარი – უცხო სანაცვლოდ. იგი არ იზიარებდა უცხო ტექსტის „გაუკრაინულების“ ტენდენციებს თარგმანში [15, 251, 34], ცდილობდა, მოეძებნა ავტორის სტილისტური და კომპოზიციური გადაწყვეტის ხერხები, შეემუშავებინა ორიგინალის გადმოტანის საკუთარი მეთოდი და პწკარედიდან თარგმანის შესრულებით მოეძებნა „შემოქმედებითი დომინანტი“.

უკრაინული ენიდან თარგმნა
ივანე მჭედელაძემ
თსუ ფილოლოგიის დოქტორი

ბიბლიოგრაფია

1. კოდაკი, მ., მიკოლა ბაჟანის სემიოსფერო, „ტვერდინია“, ლუცკი 2013 [Кодак М., *Семіосфера Миколи Бажана*. “Твердиня”, Луцьк 2013].
2. ნოვიჩენკო, ლ., „მაქსიმ რილსკი“: XX საუკუნის უკრაინული ლიტერატურის ისტორია, წიგნი პირველი, „ლიბიდი“, კიევი 1993 [Новиченко Л., Максим Рильський. *Історія української літератури XX століття*. Кн. 1. “Либідь”, Київ 1993].
3. ნუცუბიძე, შ., რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი. „ზარია ვასტოკა“, თბილისი 1947 [Нуцубидзе Ш. Руставели и Восточный Ренессанс. “Заря Востока”, Тбилиси 1947].
4. რილსკი, მ., *რჩეული ნაწერები 20 ტომად*, ტომი 19, „ნაუკოვა დუმკა“, კიევი 1988 [Рильський М. *Зібрання творів у 20-ти томах*. Т. 19. “Наукова думка”, Київ 1988].
5. სინიჩენკო, ო., „ქართული ლიტერატურა ომისშემდგომი წლების უკრაინაში (1945-1967). ბიბლიოგრაფიული მონაცემები“: ცისარტყელას ხიდებით. უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები. „დნიპრო“, კიევი 1968 (გვ. 422-472). [Синиченко О. Грузинська література на Україні у повоєнні роки (1945-1967). Бібліографічний покажчик. *Райдужними мостами. Українсько-грузинські літературні зв'язки*. “Дніпро”, Київ 1968. (С. 422-472)].
6. სტრიხა, მ., „უკრაინული თარგმანი და მთარგმნელები“: ლიტერატურასა და ნაციონალურ იდენტობას შორის. „დუხ ი ლიტერა“, კიევი 2020 [Стріха М.

- Український переклад і перекладачі: між літературою і націєтворенням. “Дух і літера”, Київ 2020].
7. ტენი, ბ., *სწრაფმავალი ქარიშხლიანი წლები*. „აზალია“, რივნე 1998 [Тен Б. Скороминущих років буревій. “Азалія”, Рівне 1998].
 8. შევჩუკი, ვ., „ბორის ტენი. უკრაინული სიტყვა“: *მეოცე საუკუნის უკრაინული ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის ქრესტომათია*. ოთხ წიგნად, წიგნი მეოთხე. „როსი“, კიევი 1995 [Шевчук В. Борис Тен. *Українське слово. Хрестоматія української літератури та літературної критики XX ст. У 4-х книгах*. Кн. 4. “Рось”, Київ 1995].
 9. ჩახრუხაძე, თამარიანი (ოდი). ბორის ტენის თარგმანი: *ქართველი ხალხის პოეზია. ანთოლოგია ორ ტომად. ტომი 1. ძველი ქართული პოეზია. „მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა“*, კიევი 1961 [Чакрухадзе. Тамаріані (Оди). Перекл. Бориса Тена. *Поезія грузинського народу. Антологія в 2-х томах. Т. 1. Поезія давніх віків*. ДВХЛ, Київ 1961].
 10. ჩილაჩავა, რ., *ქართული კლასიკური პოეზია უკრაინულ თარგმანებში (მიკოლა ბაჟანის შემოქმედებითი პრაქტიკის მიხედვით)*. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. კიევი 1995 [Чілачава Р. Грузинська класична поезія в українських перекладах (на матеріалі творчої практики М. Бажана): автореф. дис. ... докт. філол. наук; Київ 1995].
 11. ჩილაჩავა, რ., „რამდენი ლექსი და ყველა რვატერფიანი. ანუ უკრაინული „ვეფხისტყაოსნის“ დაბადება“: *შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“*. „ხელოვნება“, კიევი 2004 [Чілачава Р. «Майже коло віршів, та всі хорейми восьмис-топними», або народження українського «Витязя». *Руставелі Ш. Витязь у тигровій шкурі*. “Мистецтво”, Київ 2004].
 12. ჩიქოვანი, ს., *სიმღერა დავით გურამიშვილზე. მუხთალი ბედის ბორბალი*. ევჰენი დერლემენკოს ფენომენი „დავით გურამიშვილის „დავითიანისა“ და სიმონ ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ მოტივების მიხედვით. „ხელოვნება“, კიევი-თბილისი 1980 [Чиковані С. Пісня про Давида Гурамішвілі. *Колесо хисткої долі. Фотопоема Євгена Дерлеменка за мотивами «Давитіані» Д. Гурамішвілі та «Пісні про Давида» С. Чиковані*. “Мистецтво”, Київ - Тбілісі 1980].
 13. *ქართველი ხალხის პოეზია. ანთოლოგია ორ ტომად. (შესავალი სტატია ალ. ბარამიძისა და გ. მარგველაშვილისა)*. I ტომი. „მხატვრული ლიტერატურის

სახელმწიფო გამომცემლობა“, კიევი 1963 [*Поезія грузинського народу. Антологія в 2-х томах, (вступ. стаття А. Баранідзе і Г. Маргвелашвілі), Т. 1. ДВХЛ, Київ 1961*].

14. ხახანოვი, ა. „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“: ძველი ლიტერატურა მეთორმეტე საუკუნის დასასრულამდე (მეორე გამოცემა), „საუნივერსიტეტო ტიპოგრაფია“, მოსკოვი 1897 [Хаханов А. Очерки по истории грузинской словесности. Вып. II. *Древняя литература до конца XII века*. “Университетская типография”, Москва 1897].

წყაროები

15. უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივი. ბორის ტენის არქივი. ფონდი 289. აღწერ. 1, ინვენტ. 359/2 [Центральний державний архів літератури і мистецтва України. *Архів Бориса Тена*. Фонд 289 опис 1. інв. 359/2].
16. უკრაინის ხელოვნებისა და ლიტერატურის ცენტრალური არქივ-მუზეუმი. მიკოლა ბაჟანის არქივი. ფონდი 535 [Центральний державний архів-музей літератури і мистецтва України. *Архів М. Бажана*. Фонд 535].